ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომის

ოქმი N 1

2016 წელი 1 მარტი ქ.თბილისი

სხდომას ესწრებოდნენ :

კომისიის თავმჯდომარე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი - დავით ნარმანია

კომისიის წევრები :

ა) კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი) - ლაშა აბაშიძე;

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - გრიგოლ ლილუაშვილი;

გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - გიორგი ხელაია;

დ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - ირაკლი ლექვინაძე;

ე) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - ნინო ხატისკაცი;

ვ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტარციის უფროსი - გიგა ნიკოლეიშვილი;

ზ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტარციის უფროსის პირველი მოადგილე - ვლადიმერ ჭიღლაძე;

თ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი - ნატო ქიტიაშვილი;

ი) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი - გელა ჩივიაშვილი;

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თამჯდომარემ დავით ნარმანიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სასწარფო სამედიცინო დახმარების ცენტრის დირექტორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების თარიღი;
2. კონკურსის სხვა საორგანიზაციო საკითხები.

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომის დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

საკითხი N1

მოისმინეს : საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით.

გადაწყვიტეს:

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დამსწრე წევრთა მიერ ერთხმად იქნა მოწონებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სასწარფო სამედიცინო დახმარების ცენტრის დირექტორის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად ჩასატარებელი კონკურსის გამოცხადების თარიღი - 2016 წლის 16 მარტი, ხოლო კონკურსის გამოცხადების დღიდან განცხადების წარსადგენად - 10 დღიანი ვადა.

საკითხი N2

მოისმინეს : საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით.

გადაწყვიტეს:

ა) ცნობად იქნეს მიღებული, რომ კონკურსის პროგრამა ანუ გასაუბრების დროს კანდიდატისათვის სავალდებულო ნორმატიული აქტების ჩამონათვალი დადგენილია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელთა თანამდებობის დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 აგვისტოს N20-80 დადგენილებით.

ბ) ჩასატარებელი კონკურსის ეტაპები, პირობები, შეფასების ფორმები შეთანხმდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 19 აგვისტოს N33.17.995 განკარგულების შესაბამისად.

გ) „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N412 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის საკადრო რესურსების სამსახურს შემოსული განცხადებების გადარჩევა (პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა წარდგენილი დოკუმენტების მიხედვით, სავალდებულო დოკუმენტაციის სრულად წარდგენის ფაქტის შემოწმება).

კომისიამ დაადგინა:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას წარედგინოს გადაწყვეტილების მისაღებად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სასწარფო სამედიცინო დახმარების ცენტრის დირექტორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად ჩასატარებელი კონკურსისს გამოცხადების თარიღი - 2016 წლის 16 მარტი, ხოლო კონკურსის გამოცხადების დღიდან განცხადების წარსადგენად - 10 დღიანი ვადა.

2. „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N412 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის საკადრო რესურსების სამსახურს შემოსული განცხადებების გადარჩევა (პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა წარდგენილი დოკუმენტების მიხედვით, სავალდებულო დოკუმენტაციის სრულად წარდგენის ფაქტის შემოწმება).

3. ცნობად იქნეს მიღებული, რომ კონკურსის პროგრამა ანუ გასაუბრების დროს კანდიდატისათვის სავალდებულო ნორმატიული აქტების ჩამონათვალი დადგენილია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელთა თანამდებობის დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 4 აგვისტოს N20-80 დადგენილებით, ხოლო კონკურსის ეტაპები, პირობები, შეფასების ფორმები შეთანხმდა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის

იურიდიული პირების ხელმძღვანელთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 19 აგვისტოს N33.17.995 განკარგულებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარემ სხდომა გამოაცხადა დახურულად.

კომისიის თავმჯდომარე :

დავით ნარმანია

კომისიის წევრები:

ლაშა აბაშიძე

გრიგოლ ლილუაშვილი

გიორგი ხელაია

ირაკლი ლექვინაძე

ნინო ხატისკაცი

გიგა ნიკოლეიშვილი

ვლადიმერ ჭიღლაძე

ნატო ქიტიაშვილი

გელა ჩივიაშვილი